

ვლადიმერ პაპავა

ქართული ეკონომიკის თავსატახი

**შესავლის მაგიერ,
ანუ როცა სტატისტიკა „ვარდისფერია“...**

ეკონომისტებისათვის სტატისტიკის ენით საუბარი უცხო რომ არ არის, ეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, წინამდებარე წერილში მკითხველი ციფრებს არ შეხვდება, და ეს ასე იქნება არა მარტო იმიტომ, რომ ციფრებით გადატვირთული ტექსტი რიგითი მკითხველისათვის, როგორც წესი, მოსაწყენია, არამედ იმიტომაც, რომ დღეს საქართველოს მეტ-ნაკლებად სანდო სტატისტიკა უბრალოდ არ გააჩნია.

არავითარ შემთხვევაში არ მინდა ეჭვი შევიტანო სახელმწიფო სტატისტიკის უწყების თანამშრომელთა უდიდესი ნაწილის კეთილსინდისიერებაში, მაგრამ საქართველოში სტატისტიკის ინსტიტუციონალური მონყოფა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს: წესით სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური მთავრობისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაშინ როცა ჩვენთან ის არა უბრალოდ მთავრობის ნაწილია, არამედ ეკონომიკური განვითარების სამინისტროშიც კი შედის, რასაც ვარდების რევილუციით ხელისუფლებაში მოსულ არაპროფესიონალ მთავრობას უნდა ვუმადლოდეთ. აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი, რადგანაც მთავრობა არა მარტო ახორციელებს ეკონომიკურ პოლიტიკას, არამედ მის შედეგებსაც თვითონვე აქვეყნებს. ამგვარ ვითარებაში სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ დიდია ცდუნება, მთავრობამ კორექტივი შეიტანოს გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციაში, რათა თავისი ნამოქმედარი უკეთ წარმოადგინოს.

ამის დასადასტურებლად იმის გახსენებაც საკმარისია, რომ 2006 წლის ზაფხულის მინურულს სტატისტიკის დეპარტამენტმა წლიური ინფლაციის დონე ორნიშნა რიცხვით დააფიქსირა, რის გამოც საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მთავრობამ შეცვალა სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ახალმა ბრწყინვალედ გაართვა თავი მის წინაშე მდგარ ამოცანას: სტატისტიკის დეპარტამენტის ყოველ მორიგ პუბლიკაციაში ინფლაციის დონე თანდათანობით მცირდებოდა და 2006 წლის ბოლოს უკვე ერთნიშნა რიცხვის დონეზე ჩამოქვეითდა, რითაც მთავრობამ კვლავ მოინონა თავი არა მარტო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, არამედ მოსახლეობის წინაშეც, თუმცა, სახელისუფლებო ელიტის გარდა, ინფლაციის დაბა-

ლი დონე ქვეყანაში მაინც არავინ დაიჯერა.

საყურადღებოა, რომ ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო სტატისტიკისადმი ამგვარი დამოკიდებულება არახალია: საბჭოთა პერიოდში სტატისტიკას პოლიტიკური ფუნქციაც ეკისრებოდა, რათა ეჩვენებინა, თუ ყოველწლიურად როგორ უმჯობესდებოდა ცხოვრება. მაშასადამე, საქართველოს „ვარდისფერი“ (არა მარტო იმიტომ, რომ ვარდების რევილუციის შემდგომ პერიოდზე ვლასპარაკობთ, არამედ იმიტომაც, რომ მიზნად ისახავს ყველაფერი ვარდისფერ ფერებში დახატოს) სტატისტიკა არ იძლევა მეტ-ნაკლებად სარწმუნო ინფორმაციას, რაზეც დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება.

პრობლემის სიმწვავის აღსაქმელად კი წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა ექიმი დიაგნოზის დასასმელად და შესაბამისად მკურნალობის მეთოდის არჩევის მიზნით ავადმყოფის გამოკვლევის შედეგად მიიღებს მცდარ ინფორმაციას სისხლის ანალიზიდან თუ კარდიოგრამიდან... რა თქმა უნდა დიაგნოზიც მცდარი იქნება და მკურნალობის მეთოდიც! აი, სამწუხაროდ, ზუსტად ასეა საქართველოს ეკონომიკაშიც.

ახალი სენი – „რეიტინგოზონია“

მათ ფონზე აშკარად თვალშისაცემია ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მკაფიოდ ჩამოყალიბებული რეფორმატორული ხასიათისაა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ე.წ. დარეგულირების სფეროს, რის შედეგადაც სახელმწიფოს ბიზნესში ჩარევის კანონიერი საფუძველი სულ უფრო იზღუდება, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახეობის ნებართვებისა და შემონემებათა სფეროს პრინციპული შევიწროებით. ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგადასახადო განაკვეთების შემცირებასაც, რაც მენარმეებს საგადასახადო ტვირთს არსებითად უმსუბუქებს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების მიმართულებით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს იმპორტზე გადასახადების მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და სამშენებლო მასალებზე დატოვება, და ისიც შემცირებული ოდენობით.

რევილუციური დატვირთვის მქონეა შრომის კანონთა ახალი კოდექსი, რითაც დაქირავებულთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე არსებითად გაიზარდა დამქირავებელთა უფლებები. მართალია, ეს ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობს, თუმცა იმავდროულად თითოეული დაქირავებული თავს აშკარად დაუცველად იგრძნობს.

თუ კი თვალს გადავავლებთ საერთაშორისო გამოცდილებას, ამ ტიპის რეფორმები უწინარეს ყოვლისა გვაახლოებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ჰონკონგი, სინ-



გაპური), ავსტრალია, ახალი ზელანდია, აშშ-ისა და კანადის ეკონომიკურ მოდელთან. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ რატომ შეიძლება შეფასდეს საქართველოში მიმდინარე ეს რეფორმები, როგორც აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზა: ფაქტია, რომ იმავე ამერიკულ-კანადური მოდელისაკენ ჩვენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიურ-ავსტრალიურ-ოკეანეთის ტრაექტორიით მივისწრაფით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ აქ განხილული რეფორმები ერთ სენტანაა დაკავშირებული, რომელსაც პირობითად „რეიტინგომანია“ შეიძლება ეწოდოს.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნდა „ბიზნესის წარმართვის“ რეიტინგი, რომლის მიხედვითაც, საქართველომ შთამბეჭდავი ნახტომი გააკეთა და 112-ე ადგილიდან 37-ზე გადაინაცვლა, მთავრობამ განაცხადა, რომ მთავარი მიზანი ამ რეიტინგის მიხედვით კიდევ უფრო წინ წაწევა და უახლოეს ერთ წელიწადში ოცეულში მოხვედრა არისო, რაც შეასრულა კიდევ და მომდევნო წელს უკვე მე-18 გახდა. აქ ნამდვილად დასაფიქრებელი ისაა, თუ როგორ მოვახერხეთ გერმანიისათვის გაგვესწრო, რომელმაც მხოლოდ მე-20 ადგილი დაიკავა: თუ კი ამას თუნდაც ვინმე დაიჯერებს, „საცოდავ“ გერმანიაში ბიზნესის წარმართვა თურმე უფრო რთული ყოფილა, ვიდრე ჩვენთან! ისე კი, ნეტა როგორ გავედით მე-18 ან თუნდაც 37-ე ადგილზე, როცა ჩვენში კერძო საკუთრების ჩამორთმევა პოსტ-რეველუციური მთავრობის ერთ-ერთ საამაყო საქმედ იქცა?

სინამდვილეში მთავრობის უმთავრესი მიზანი არა რეიტინგებით გატაცება, არამედ მოსახლეობის კეთილ-

დღეობის ამაღლება უნდა იყოს. და თუ მას მაინცა და მაინც ქვეყნის ამა თუ იმ რეიტინგს უნდა რომ მიაქციოს ყურადღება, იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ გააუმჯობესოს „ცხოვრების ხარისხისა“ და „ადამიანისეული განვითარების“ ინდექსები, რომელთა მიხედვითაც საქართველო 2005 წელს მსოფლიოში, შესაბამისად, არასახარბიელო 87-ე და 97-ე ადგილებზე იყო.

ზემოსხენებული „ბიზნესის წარმართვის“ რეიტინგი დიდად რომ არაფრისმომცემია, ამას ისიც მეტყველებს, რომ სომხეთი ჩვენთან შედარებით კარგა ხანია რაც 34-ადგილზე იმყოფებოდა, ეს კი ამ რეიტინგის მიმართ არა მარტო საფუძვლიანი უნდობლობის აღმძვრელია, არამედ არც ამ ქვეყნისათვის გამხდარა რაიმე ხელშესახებად სახირო. უფრო მეტიც, 52-ე ადგილზე მყოფი ჩეხეთის, 61-ე ადგილზე მყოფი სლოვენის, 66-ე ადგილზე მყოფი უნგრეთისა და 75-ე ადგილზე მყოფი პოლონეთისათვის ამ რეიტინგს არანაირად შეუშლია ხელი ევროკავშირის შემადგენლობაში მიეღნია თვალშისაცემი ეკონომიკური განვითარებისათვის, ხოლო 49-ე ადგილზე მყოფი რუმინეთისა და 54-ე ადგილზე მყოფი ბულგარეთისათვის კი ევროკავშირში შესასვლელი კარები სულაც არ ჩაუკეტავს.

ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ტიპის რეიტინგებს მხოლოდ და მხოლოდ „პი-არ“-ისტული დატვირთვა აქვთ და ისინი რაიმე სერიოზული ეკონომიკური ანალიზისათვის არ გამოდგება. პროფესიონალი ეკონომისტები თავის საქმიანობაში სტატისტიკით (და არა რეიტინგებით) ხელმძღვანელობენ, რომელიც, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენს ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაშია.